მძიმე ბრძოლის შემდეგ

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 15 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) _ ასკ (დონის როსტოვი) 1:1 (0:1).

“დინამო”: კოტრიკაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, კუტივაძე, ასათიანი (დათუნაშვილი), მეტრეველი, ნოდია, მესხი.

ასკ: ბოიჩენკო, გეტმანოვი, აფონინი, კაზაჩოკი, კრივობოროდოვი, შიკუნოვი, ჩერტკოვი, კუჩინსკასი, სატაევი (დემენტიევი), ესკოვი, მატვეევი.

მსაჯი ე. ჰიარმსი (ტალინი).

თბილისელებმა ძალიან აქტიურად დაიწყეს თამაში. ტრადიციულ დაზვერვას, რომელიც წინ უძღვის ხოლმე ასეთი მნიშვნელობის მატჩებს, ადგილი არა ჰქონია და მოწინააღმდეგეთა რიგებში სუსტი ადგილების ძებნას არ წაუღია დრო. დინამოელები ფაქტიურად პირველივე წუთებიდან მძლავრ შტურმს შეუდგნენ და ეს, უდავოდ, სწორი გადაწყვეტილება იყო. როსტოველი არმიელები ძლიერი, კარგად შეთანხმებული გუნდია, რომელსაც ძალთა მოსინჯვის პერიოდში თვითონვე შეუძლია არანაკლები სიზუსტით მიაგნოს შეუსაბამოებებს მოპირდაპირე რიგებში და გამოიყენოს ისინი მაქსიმალური ეფექტით. ამიტომ მასპინძელთა მაღალმა ტემპმა და აგრესიულმა იერიშებმა სტუმრები აიძულა სასწრაფოდ მოეხდინათ დაცვის რიგების კონცენტრირება საჯარიმო მოედნის ფარგლებში.

სულ ათიოდე წუთი იყო გასული პირველი სასტვენის შემდეგ და სახიფათო პოზიციიდან კარში დაარტყეს ასათიანმა, მესხმა, კუტივაძემ, მეტრეველმა, ცხოვრებოვმა. როსტოველები აშკარად არ იყვნენ მზად ასეთი სწრაფი, ძლიერი და ხშირი შეტევებისთვის, რის გამოც საკმაოდ უწესრიგოდ და უსისტემოდ უხდებოდათ თავდაცვა. თბილისელთათვის სწორედ ამ პერიოდის გამოყენება იყო საჭირო გამარჯვების გასანაღდებლად. საჭირო იყო გოლის გატანა, მაგრამ როგორც ზევით აღვნიშნეთ, გუნდის მოთამაშეთა 50 პროცენტს მოუხდა კარში ბურთის დარტყმა, მიზანს კი ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაღწია. მეკარე ბოიჩენკოს ხვედრი მხოლოდ იოლი შიში გახლდათ.

ამასობაში როსტოველებმა მიაგნეს თამაშის სწორ გეგმას. საერთო ინიციატივის ხელში აღებაზე გუნდს არც უფიქრია, ვინაიდან ეს მის ძალებს აღემატებოდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად საკმარისი აღმოჩნდა სწრაფი კონტრშეტევების გაnხორციელება მინდვრის მთელ სიგანეზე სამი ისეთი სახიფათო ფორვარდის შესრულებით, როგორებიც არიან ესკოვი, მატვეევი და სატაევი. ეს ტაქტიკური მანევრი _ მოულოდნელი კონტრშეტევა, როსტოველებმა რამდენიმეჯერ გაიმეორეს და აქ აღმოჩნდა, რომ თბილისელთა დაცვის ძირითადი მოთამაშე ხურცილავა ყოველთვის ვერ ასწრებდა “გამოხმაურებას” ესკოვის სწრაფ დრიბლინგზე, რამდენიმე შეცდომა ჰქონდა რეხვიაშვილსაც და აი, 21-ე წუთზე მარცხენა ფლანგზე გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ესკოვი გაექცა ხურცილავას და ძლიერად დაარტყა შორეულ კუთხეში _ 1:0.

მთელი თამაში მიმდინარეობდა ამ ტაქტიკურ ჭრილში; თბილისელები მთლიანად ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას, შეტევა შეტევას მისდევდა. დარტყმა _ დარტყმას (მათი უმრავლესობა არაზუსტი იყო), მაგრამ საკმარისი იყო სულ მცირეოდენი შესაძლებლობა და არმიელთა კონტრშეტევა რეალური ხიფათის წინაშე აყენებდა ჩვენს კარს.

საპასუხო გოლი გატანილ იქნა 55-ე წუთზე. მეტრეველმა შორიდან ძლიერად დაარტყა კარში. ბოიჩენკომ ვერ გააჩერა ხელში ბურთი, ნოდიამ იგი სიჭინავას მიაწოდა და ამ უკანასკნელმა ვარდნაში ძლივს მოასწრო კარის აღება _ 1:1.

ბრძოლა ამის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა. დათუნაშვილს ზედიზედ ორჯერ ჰქონდა ბურთის გატანის მეტისმეტად ხელსაყრელი მდგომარეობა, სახიფათო გარღვევები განახორციელა მესხმა, მეტრეველმა. მაგრამ არც ერთ დარტყმას შედეგი არ მოჰყოლია.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 17 ივნისი, 1967 წ.